

ISSN 0130-1624

619 /
1988/2

ՊՐԵՄԻԱ

Ուսումնական
հոգածառը
№ 11 1988





გიორგი სააკაძის ძეგლი თბილისში

„...ლუარსაპ მეცის დროს იყო იგი სახელმოვანი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, რომელის მოძრავება და ჩცევა ღლასაც აუსერებია ჩვენთა ისტორიისთაგან და რომელიც იყო რა უცვად შემცული ზოვლისა საგანგაშო და საგმირო ღირსებითა, დღეს არამომავდე არც ავად არის ჩვენ მით დაუსერული და არც ქარჩადა...“

ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები ურკოლის-მომგერელად გაისმა იმ დღეს, საზეიმო მიტინგზე. ამ სიტყვების სიღრმე და აზრი ხელშესახები გახდა განსაკუთრებით მაშინ, როცა ძეგლს საბურავი ჩამოაცალეს და შავ ცხენზე ამხედრებულმა დიდმა მოურავმა თბილისს გადამოხედა.

დაფასებული არ არის გიორგი სააკაძე, — გულისტყივილით ამბობს ქართველი ერის სულიერი მამა.

არ იყო დაფასებული და დაფასდა. მოვიდა ჰირუოვნელად გამკითხველი დრო და „მისი ავ-ქარგიანობით აღსავსე განსაკუდელინი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი“, იგრძნო და გაიგო. „მისი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი“, თვალნათლივ დაინახა.

და აა, ის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე სპარს-ისმალოთა უღლიდან მშობლიურ მიწა-წყლის განთავისუფლებას შეალია, ვინც სამშობლოს საკეთილდღეოდ ღვიძლი შვილი გაწირა, გაძევებული და განდევნილი, სამასი წლის მერე ისევ თბილისშია. შოამომავლობით გარშემორტყმული, ძლიერი და მაღლიერი, დგას სწორედ იქ, სადაც უნდა იღებას — მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მისვე სახელობის მოედანზე, დედაქალაქის შუაგულში.

ამ ძეგლით კიდევ ერთი ახლი სიტყვა თქვა ხელოვნებაში მერაბ ბერძენიშვილმა — საქეცენოდ აღიარებულმა ხუროთმოძღვარმა, სსრ კუმინის სანალხო მხატვარმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა. ძეგლის არქიტექტორია გივი ჭავარიძე.

მაშ ასე, აღსრულდა ქართველი კაცის დიდი ხნის ნაოცენებარი — დიდ მოურავის ათული და ძლიერი პირვენება ამეტყველდა ქვაში. გამოჩენდა მისი შეუდრევებელი ბუნება, სიმსნევე, გამჭრიანება და ყოვლის ამტანი სული. ქვიდან გამოკვესა ანთებულმა თვალებმა და ელვას ჰგავს შემოქნეული ხმალი.



თბილისი — 7 ნოემბერი, 1988 წელი.





619
1988/2

პროლეტარების კველა ქვეყნისა, შეერთდოთ
საქონელი და სალიტერატურო-
სამხატვრო უნივერსიტეტი

ლროვა

№ 11 (623), ნოემბერი, 1988

უურნალი გამოდის 1923 წლიდან
უოველთვისას საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო უნივერსიტეტი

ნოემბრი:

ოთარ ქიძელაძე. დამუხრუჭების მე-
მანიშვილის დემონტაჟი.

ჯემალ მახრიშვილი. ალაზნისპირე-
ლი არანდატორები.

აროლდ გეგეჭკორი. სიცოცხლის
პირამიდა.

რევაზ მიშველაძე. მთავარი დანაშა-
ული, ანუ სტალინი საიდიოზი (ნო-
ველა).

ვახტანგ ბერიძე. ანჩისხატის ტაქარი.

შეთევან ბაგრატიშვილი. მხატვარი
ფელიქს ვარლამიშვილი.

ჯერომ ქ. ჯერაძე. რატომ არა გვაქვს
კუდები? (მოთხოვბა)

გაგრიელ ბარჯაძე. ვისაც მოედანზე
უნახავს...

დენის გაკარტი. პრეზიდენტის აჩრ-
დილი (ამორიკის საიდუმლო სამსა-
ხურის პოლიტიკური თანამშრომლის ინ-
ტერესე).

კანორამა.

საქართველოს კა ცა-ის გამომცველობა

© „ლროვა“, 1988 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქიძელაძე

სარადაცვიო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (3/მგ. მდივანი), ოთარ
არიშვილი, ვასელ გეორგიძე, ნათელა პიორ-
გოგიანი, ოთარ ლევათრავალი, სერგო ღურ-
ებიძე, ვახტანგ ეცვანჯია, ჯემალ მახრი-
შვილი, დინარა ნოლია (მხატვარ-რედაქტორი),
ლალო ჭელავარიძე, ილია თაგაღვა, ნებიარ
უოლებაძე, გიორგი ჩარავაძე.

დამუხრუჭების მექანიზმის მექანიზმის დამოუწევა

დამუხრუჭების მექანიზმი თუ არსებობს, ხოლო კიდეც ითქვა რომ არსებობს, ცხადია, საჭიროა მისი დემონტაჟი, ანუ ნაწილ-ნაწილ დაშლა.

ამაზე როცა ვფიქრობ, ვატყობ, როგორ ვღიზიანდები ხოლმე, როცა მესმის, რომ გარდაქმნის სასურველ წინსვლას ხელს ამა თუ იმ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა მუშაქის პასიურობა, უპასუხისმგებლობა და ისევ ძელებური მეთოდებით მუშაობა უშლის. და მოგვყავს ცალკეული ფაქტები, ჩამოვთვლით წარმოება-დაწესებულებებს, ვასახელებთ გვარებს. ესე იგი, ვიღიას არ ეპიტავება ეს გარდაქმნა და მას ამუხრუჭებს, ხოლო საზოგადოების დიდ ნაწილს კი უნდა, მაგრამ ვერაფერს გამხდარა, რადგან ზოგიერთები, უმთავრესად კი აღილობრივი ხელმძღვანელები, ძელებურად განაგრძობებს მუშაობასაც, ცხოვრებასაც და თანაც თავს არხეინად გრძნობენ.

როგორც ჩანს, არც უმისობაა და კონკრეტული, საგნობრივი, პერსონალური კრიტიკა და თვითკრიტიკა საქმეს მომავალშიც წაადგება, მაგრამ უძრაობის ტენდენციების მაკოცელებელი მიზეზების მარტონოდენ სუბიექტურ ფაქტორებში ძებნამთლად გამართლებული არ უნდა იყოს.

განა პირველად გვესმის, რომ აუცილებელია პასუხისმგებლობის გაძლიერება, ისიც რომ, დისციპლინასა და წესრიგს განმტკიცება სჭირდება, ხოლო ბიუროკრატიზმა და ფორმალიზმის, კონსერვატიზმა და ორგანიზაციულ გადამლაშებას უნდა დავდლიოთ? ან თუნდაც ის, რომ კადრები უკეთ უნდა შევარჩიოთ და საუკეთესო მუშაქები კი გაბედულად დავაწინაუროთ?

ადამიანის ფაქტორი!

ცხადია, შეუტევებელი შეცდომაა პიროვნების როლის შეუფასებლობა-დიდისა თუ მცირე საქმეში ქვეყნის მასშტაბითაც და სოფლის საბჭოს, კოლმეურნებობის, ფაბრიკა-ქარხნის ან ამა თუ იმ დაწესებულების ფარგლებშიც. თუნდაც იმიტომ, რომ ბევრჯერ კუოფილვართ იმის მოწმე, თუ როგორ გამოაქვთოა ახალგა ხელმძღვანელია, და ისიც მოქლე დროში, მისა წინამორბედის მიერ ჩაშლილი საქმე, როგორ გამოიყანა ჩამორჩენილი საწარმო გარღვევიდან და იგი მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. პირიქითაც მომხდარი: ველარ იცნობ ვერც სკოლას, ვერც მეურნეობას და მთელ უწყებამაც კი, როცა უნარით ხელმძღვანელს მინდობილი საქმისათვის შეუფერებელი, შემთხვევითი პირი შეცვლის ხოლმე.

რდება, განა არ წდება?

ყოველივე ეს, ანლა განსაკუთრებით, შესამჩნევი გახდა და იოლი გასაჩერებულია, ვინ რაც ღიას, რას წარმოადგენს თითოეული და როგორ ეკიდება საქმეს. ისიც სათქმელია, რომ გარდაქმნამ ბევრი ინიციატივიანი, უნარიანი, დამოუკიდებლად მოაზროვნე და მოშემცირე მუშაქი წარმოაჩინა, მათ შორის ხელმძღვანელებიც, ჩვენთანაც — რესპუბლიკაში. უსამართლობა იქნებოდა იმის თქმაც, თითქოს ჩვენში არაფერი იცვლებოდეს ან საქმე წინ არ მიღიოდეს, მაგრამ რადიკალური გარდაქმნა მაინც არ მომხდარა და პოზიციურ ძვრებს რომ ეტყვიან, მათ კერ მასიური, საყველოთ ხსიათი მაინც არ მიუღიათ. ცალქეული, თანაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნი ძვრები გარდაქმნას ვერ უზრუნველყოფენ. მე მაინც მგონაა, რაღაც სხვა რამ უშლის ხელს გარდაქმნაში იგივე ინიციატივიან მუშაქს, როგორც ყოველთვის არ ყოფნის ძალა და ნებისყოფა სამისოდ, რომ როგორმე დასლილოს ზოგერ ძნელად გადასალახავ წინამდებობას. დრო და განა არ ყოფნის ხოლმე მას ყოველთვის ამისათვის და კაცმა რომ თქვას, არც გაემტებუნება: საკუთარ თავსა და ოჯახზეც ხომ გინდა ფიქრი.

— იყავი პრინციპულიო, უნდა იბრძოლო, სინელეებს არ უნდა შეეპუონ და მიზანსაც მიაღწევო...

კი, ბატონი!

კარგია ყველაფერი ეს. სწორიცაა და ზოგერ აუცილებელიც. შაგრამ, ნამეტავაც ბევრი ბრძოლა გამოვდის მგონა მე. სანგრძლივიც და ისეთიც, როცა არც კი უნდა იყოს მაინც მაძიებიც საჭირო ეს გაუთავებელი ბრძოლა და დავიდარაბა. ბრძოლა სისუფთავისათვისაც კი გვაქვს განადებული, მაგრამ მაინც ჭუჭუჭი ვიხრინობთ. ესეც გაუთავებელი ბრძოლის ბრალია თორებ, აიღე ცოცხი და დაგვავე. არც ბრძოლა დაგჭირდება და სისუფთავისაც დაიცავ.

შაგრამ არა... მაინც მაინც ბრძოლა გვინდა. იარაღიც გვაქვს — ქაღალდი.

ყველას გვასხვეს, რადგანი ვებრძოლეთ ანონიმურ წერილებსა და მათ კიდეც მათ და ზოგჯერ გსჯი-

დით ხოლმე, მაგრამ საშველი მაინც არ ჩანდა. რამდენი დრო და ენერგია დაიხარჯა ამ ბრძოლაში, რამდენის სახელი და ღირსება შეეწირა ცილისმწამებლებს, მაგრამ ისინი არხეიანდ განაგრძობდნენ თავიანთ ბნელ საქმეს.

ანონიმური წერილის ავტორის ქვეშ მიწა უნდა იწვოდეს. არ იწვოდა მიწა.

არც თვითონ ანონიმური წერილის ავტორი იწვოდა.

იგი მხოლოდ მაშინ დაიწვა და დაიფერფლა, როცა მიიღეს კანონი, რომელიც მოქმედებს და სრულდება.

ამა აღარც ინიციატივის გამოჩენაა საჭირო, აღარც რამე წინამდებობის გადალაცვა და ბრძოლამაც დაკარგა აზრი.

ნიშანას თუ არა ეს გარდაქმნის დამუხრუჭების მექანიზმის დემონტაჟს, ესე იგი, ამ მანქანის ნაწილებად დაშლას.

ასე მოიშალა გარდაქმნის დამუხრუჭების მექანიზმის ერთი ნაწილთაგანი.

მაგრამ სხვა ბევრი მაინც დარჩა:

დარჩა ფრონტის ხაზიც.

ამიტომ, საჭიროა კონტროლი. მაგალითად, პრესა უნდა აკონტროლებდეს, როგორ წვევტენ სამინისტროები სოციალურ საკითხებს, როგორ თვისებებს ადგილზე გამოყოფილ სახსრებს იმსათვოს, რომ კაცი უკეთ ცხოვრობდეს.

ეს გასავებია.

მაგრამ, რა მოვიმოქმედოთ, როცა გვეუბნებიან, უნდა გაძლიერდეს ბრძოლა თანამდებობის ბორიტად გამოყენების, მექანიზმების, დატაცების, სპეციულაციის წინამდებევ და საჭიროა, რომ აქ საკონტროლო და სამართალდაცვითმა ორგანოებმა უფრო მტკიცებულ და ეფექტურად იმოქმედონ.

კეთილი და პატიოსაზნი.

იმოქმედონ.

ესე იგი, ისევ ბრძოლა და სევ კონტროლის გაძლიერება.

იყო ეს უკვე.

იყო, მაგრამ არაფერი მაინც დამატებინც ლიტებული არ მოუცია კონტროლის გაძლიერებას. უძრაობის პერიოდის „მემკვიდრეობიდან“ მომდინარეობის თავგამოდებული ნადირობა ლინავ ნასვამებზე, ოდნავ დამრღვევებზე და ოდნავ მითვისებლებზეც. შეკონტროლებელი ორგანოებისა და მათი მუშაქების საქმაო აქტიურობის პირობებშიც ჰქონდა და ახლაც ადგილი აქვს თანამდებობის ბორიტად გამოყენებასაც, მექანიზმებისაც, დატაცებასაც და სპეციულაციისაც. ისეთი ფაქტებიც ცნობილია, როცა კონტროლიორ-ლეგიზრობები თვითონვე ითბობდნენ ხელს, ეწეოდნენ გამოძალვს და ქრომატის იღებრნენ. ასეთ ფაქტებს კონტროლის კიდევ უფრო გაძლიერების პირობებშიც ექნება და აქვს კიდეც ადგილი. ჰქონდეთ ნებისმიერი მაღაზის გამგეს და თუ გაგნობოთ, უთუოდ გეტყვით, რა უჯდება მას ყოველი მორიგი გეგმიანი ან მით უფრო მოულოდნელი რეესიზა და იმასაც მიგანველდებთ, რომ საჭირო თანხის მომღმარებლის ხაზზე ხდება. და განა მარტო მაღაზია? ასე სხვა საკუთრო და სამეურნეო ორგანიზაციებშიც.

ამიტომ მიმართ საქსებით გართებულად ის, რაც კონტროლის თაობაზე სკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენურმზე ითქვა:

— კონტროლის სრულყოფისას გადაუდებლად უნდა მოვაწესრიგოთ სხვადასხვაგარი შემოწებებისა და ინსპექტორების საკითხი, რომლებიც ახლა პირდაპირ ზვავად ატყდებიან თავს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აცდენენ ხალხს საქმეს, შეაქვთ ნერვიულობა მუშაობაში. მათი პრაქტიკული სარგებლივობა, როგორც წესი, მინიმალურია. ეს ახალი სკითხი არ განლავთ, მათზე არაერთობელ თქმულა და დაწერილა, მაგრამ საქმე კერ არ შეცვლილა.

მას შემდეგ დრო გავიდა, მაგრამ არსებითად არაფერი შეცვლილა.

როდემდე?

ჩვენ თითონ ხომ შევვიდლია მოვაწესრიგოთ ეს საქმე აქ, ჩვენს სახლში და მივალწიოთ ამ უბანზე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ჩეალურ გაჭანსალებას.

შეგვიძლია. ჩვენ კი ვზონინობთ, დროს ვკარგავთ და ვაგიანებოთ გარდაქმნის დამუხრუჭების მექანიზმის დემონტაჟს.

აღლა, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციას, აგრეთვე ყველაგან და ყველაფერში ფართო საზოგადოებას შეუძლია. „ზემოდენან“ გაძლიერებული კონტროლის კომპენსირება.

— საზოგადოების დემოკრატიზაციის პირობებში პრინცი-



პული მნიშვნელობა აქვს „ქვემოდან“ კონტროლის დონისა და ეფუქტურიანობის გაზრდის, რათა თითოეული ხელმძღვანელი, თოთოეული თანამდებობის პირი მუდამ გრძნობდეს თავის პასუნისგვებლობას და დამოკიდებულების ამომჩეველებზე, შრომის კოლექტივებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, პარტიასა და მთელ ხალხზე. აქ მთავარია, შევქმნათ და განვამტკიცოთ მშრომელი ადამიანებისაგან მომდინარე რეალური კონტროლის შევლა ინსტრუმენტი და ფორმა.

საჯაროობა საყოველოთა სახალხო კონტროლის ქმედითი საშუალება და უთუთავი ამიტომაც ჭირს მისი დამკიდრება.

იმიტომ, რომ თუ მე სრული და რეალური საჯაროობის პირობებში აღარ ვიქები დამოკიდებული ამა თუ იმ თანამდებობის პირის ნება-სურვილზე და დაგვება დრო, როცა განხერელად დავიცავთ შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის წინაშე კველა არჩეული თუ ინიშნული თანამდებობის პირის სისტემატური ანგარიშების წესს, როცა ყოველი ასეთი ანგარიშის შემდეგ გაიმართება ცოცხალი, პრინციპული განხილვა, რა-საც თან ახლავს კრიტიკა და თვითკრიტიკა, საქმიანი წინადაღები, და ყოველივე ეს განმტკიცებული იქნება იმის საქმიანობის შევასებით, ვინც ანგარიშს აბარებს, მაშინ ვის, სად და როდის ექნება თანამდებობის ბოროტად გამოყენების, გამოძალვისა და ქრთამის მიცემის ან აღების შესაძლებლობა, სურვილი, მისწრაფება?

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთ ფაქტებს უმთავრესად ადგილი აქვს ბინების განაწილებისა და ჩაწერის, სამუშაოზე შილების, ყალბი ცნობების გაცემისა და ზოგიერთ სხვა გარემოებათა დროს, როცა საქმე წესისა და კანონის გვერდის ავლოთ კეთდება.

ასე მოხდა, მაგალითად, დუშეთის რაიონშიც.

სულ ახლახან მოხდა.

საქმე სამუშაოზე მიღებას ეხება.

კინგე სირანუშ ხაჩიონმა, რომელიც თბილისში ცხოვრობს და შუშაობს, მაინც ამანცა დუშეთის რაიონში მოინდობა შიწის ნაკვეთის აღება. მისი ამ სურვილის განხორციელებას დადად შეუწყობდა ხელს სადმე, თუნდაც ნახევარ გამაცვეთზე შუშაობის დაწყება და სირანუშ ხაჩიონმაც რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს ვასილ სირაბეს მიაკათხა. სირაბე სირანუშს 2 000 მანეთი მოსთხოვა, ხოლო სახალხო სასამართლო მისი ქმედება ოთხი წლით თავისუფლების აღვეთით შეაფასა. ასე დამთავრდა ეს სახელისწერო გარიგება.

ახლა რამდენიმე კითხვა დასვათ:

საჯაროობის პირობებში, რაც ახალი თანამშრომლის შრომით კოლექტივის თანხმობით მიღებასაც გულისხმობს, იქნებოდა შესაძლებელი ქრთამის მიცემა-აღების მცდელობა?

აღმა, არა!

თუნდაც იმიტომ, რომ ვიღაც მაინც დაინტერესდებოდა:

შეუძლია თუ არა სირანუშ ხაჩიონს შესარულოს სამედიცინო დის მოვალეობა და აქვს თუ არა მას რაიმე დამადასტურებელი საბუთი?

ან:

რა იძულებს მას, თბილისიდან ნახევარი განაკვეთისათვის დუშეთში იაროს და რა სარგებელს მოელის ასეთი შეთავსებიდან?

ან კიდევ:

ნუთუ დუშეთში, ადგილობრივ მკვიდრთაგან არავინ აომოჩნდა ისეთი, რომელიც ასეთივე მონაცემებით შეძლებდა სამედიცინო დის მოვალეობის შესარულებას?

შრომითი კოლექტივის წევრების მიერ საჯაროდ დასმული ეს და კიდევ სხვა კითხვები ააცილებდა მთავარ ექიმს პატიმრობის მძიმე ტვირთს, ხოლო რაისავადმყოფოს მწოლიარე ავადმყოფებს კი იმას, რომ თბილისიდან მოვლენილი შედედა, ქრთამის სახით გაღებული თანხის ამოღებას იმავე ავადმყოფებიდან შეცდებოდა: გამოძალვა ისევ გამოძალვას შობს და ურლევია მათ შორის ასებული ეს ურთიერთყავშირი.

ცნობილია, რომ დანაშაულის ამა თუ იმ სახის გავრცელებას, თეთვი საზოგადოებრივი ცხოვრება უწყობს ხელს და ამიტომაც გვერდება ამა თუ იმ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებში ჩახედვა, მათი დანახვა, გამოვლენა-გამოაძეარავება და აღმოფხვრა.

მაგრამ, გაგვაჩნია კია ჩვენ ასეთი ანალიტიკური მასალა, კიდევ კია ყოველივე ამის ანალიზის საქართველოს სსრ იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროები, უმაღლესი სამართლო, პროკურორული და ისინი, ვინც ვითომდა სოციოლოგური გამოყვლევებით არიან გართულნი? მე მგონი არა. მაგრამ, თუ ეს მაინც კეთდება, რატომ არ იცხობს ფართო საზოგადოება ამ მასალას, ან რაოდ არ გამოგვაქვს აქედან მოქმედე-

ბისათვის სახელმძღვანელო დასკვნები და არა გვაქვს საჭირო რეკომენდაციები?

საჯაროობა მართლა მარტო იმას ხომ არ ნაშენები ჰქონდება თქვა, რაც კაცს ენაზე მოადგება. საჯაროობა უდესლოცვა „გამოცემა დუმლოებული“, დახურული და აქრძალული თემების, საკითხების, მონაცემების, სტატისტიკური მასალის საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა ნიშნავს უმთავრესად, რათა საქმისათვის სასარგებლო ბოიერული დასკვნები გავაკეთოთ.

ესც ც გარდაჭმის დამუხრუჭების მექანიზმის დემონტაჟია, მისი ცოტ-ერთ, ამასთან ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილის დაშლას რომ ითვალისწინებს.

საიდუმლო!

ცხადია, არსებობს სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოება.

ისიც ცხადია, რომ ასეთ საიდუმლოს დაცვა და შენახვა სჭირდება.

შეგრამ, იმდენად არას გამჭდარი ჩვენში თთქმის კველაფრის გამდაგრძელების ტენდენცია, რომ წლები გადის, გარდაქმნისა და საჯაროობის პროცესი მიღინარების, ხოლო პარტიული ორგანოების იმ დადგენილებებსაც კი, რომლებიც პრესაში შეეყნდება, კვლავ შემორჩენილი გრიფით — „საიდუმლო“.

მე თუ მეითხვეთ, ამასაც დემონტაჟი სჭირდება, ამათუ როცა, მაგალითად, პარტიის რაიონის ბიურო სეინოს დირექტორს ამტკიცებს და მიღებული დადგენილების ამონაშერს იმავე სკოლაში აგზავნის, ან სკაპ წევრს პარტიულ საჯელს ადგებს და ა. შ. ამაში არაფერი გასიდუმლოებული არ უნდა იყოს.

ასე ნაწილ-ნაწილ, მაგრამ დროულად და ყოველგვარი მოლოდინის გარეშე შესაძლებელი უფრო ენერგიულად და მიზანს წრილი ასპექტია დამუხრუჭების მექანიზმის ენერგიული დემონტაჟი.

აქლა მოქმედების, პრაქტიკული მუშაობის დროა.

ამ თვალსაზრისით, პრაქტიკული საქმიანობის ფრიად მნიშვნელოვანი ასპექტია დამუხრუჭების მექანიზმის ენერგიული დემონტაჟი.

ამასთან დაკავშირებით, ახლა ალბათ იმის თქმის დროც მოგიდა, რომ დამუხრუჭების მექანიზმის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილთაგანია უძრაობის წლებში შექმნილი ურიცხვი რაოდენობის დადგენილები, განკარგულებები, ბრძნებები და ათასნაირი ინსტრუქციები, რომლებიც კაცს თავისუფლად ამოსუნთქვის საშალებას უსპობენ. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ სწორედ ამ დოკუმენტებს არიან ხშირ შემთხვევაში ამოფარებული ის მუშავები, რომლებიც გარდა გარდა მუშავების დროის შემთხვევაში ამოფარებული ის მუშავები, რომლებიც გარდა გარდა მუშავების დროის შემთხვევაში ამოფარებული ის მუშავები.

გადაუჭარბებლად შეიძლება თოვას, რომ რესპუბლიკის თითქმის კველა სამინისტროსა და უწყებაში დაგრძნელდება სხვადასხვა ხასათის, დანიშნულებისა და რაოდენობის „აქრძალვის“ დოკუმენტი, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ბოჭას სწორედ ინიციატივიან მუშავებს და, მაშასადამე, ხელს უშლიან მათ და აბრკოლებენ საზოგადოების წინსკოლას.

გარდა გარდა ასპარეზე გარდა გარდა მოითხოვს მიღებას, და ახალი აღმართობის შეცვლაში და გარდა გარდა მოითხოვს მიღებას.

კიდევ ასპარეზის გარდა გარდა მოითხოვს მიღებას.

მაგრამ, სანამ მათ დანახვავენ, შეამჩნევენ და მხარს დაუჭერენ, ეს იგი, სანამ ახალი აღამიანები გაჩნდებიან, იქნებ ძველებაც გავანდრიოთ ხელი. მაგალითად, ჰეთოსნ დარგის ხელმძღვანელება უშუალო შემსრულებლებს, კონკრეტულად რომელი ბრძნება-განკარგულება, გადაწყვეტილება, დადგენილება ან დებულება თუ ინსტრუქცია უშლით მათ ხელს მუშაობაში და მოძველდნენ.

ჰეთოსნ და, როცა ნათებამის სამართლიანობაში დარწმუნდებიან, გააუქმნონ ისინი.

გაუქმნონ კველა; რაც უნდა ბევრი აღმოჩნდეს ასეთი.

გარდა გარდა დამუხრუჭების მექანიზმის დემონტაჟის აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ეს.

შ. ს. გორბახოვი:

— ჩვენს გარდა გარდა მნიშვნელი ბევრი სიძნელეა. განწყობილების რთული შოზაკა, გონებაარეულობა, ილუზიები, მოუთმენლობა, გაონიშიანება — კველაფერი ეს, როგორც იტყვიან, ჩვენს თვალისწინაა.

უთუოდ ამის გამოცა, რომ ამ პასუხსავებ, გარდამტკიცებ უას გაისმის ხმები, თითქოს გარდა გარდა საფრთხე ექმნებოდეს.

საფრთხე თავიდან უნდა ავიცილოთ.

ეს თოთოეული ჩვენგანის ლვიძლი საქმეა.

გარდა გარდა დამუხრუჭების მექანიზმის დემონტაჟი ამ საფრთხის თავიდან აცილების რეალური საწინდარია.

ოთარ პინარავე

დროშა 3



ალაპინის სპირილ ეგვიპტური კულტი

Ա օլանություն եռհնածոցիս ըստ
է ի հրճություն-աղմասացլութու,
մուլարև վրացու Ծյունդորիա-
չու մըզօձարշոծն ցրտու միջնուց-
րու մունքորու, հոմելսապ ծով-
ծուսեցալլեծու գունդունակուրես շիշությ-
եցն. ցոնց քարցագ օբռոծն ամ մլաշոծ լու-
ցրտոծ միջու սանաեցն, շուշուցալլու ցայցուր-
ցեցն սեցա ացալլութենսացն միցետրուաց ցանես-
ցացեցնու ամ մոնցրու ծարացուանու ցորնա-
կուլու.

ხვაგრიელი მოსავლის ცენტრით გართულ
კაცს გზა უცებ ფეხშვეზ და ელევა და ალა-
ზანს ზედ წააღვება. მდინარის პირას, ერთ
შემაღლებულსა და საგულდაგულოდ დატ-
კეპნილ დამჩეუც ფორზე, გაუშმენდავი ხო-
რბლის სამი წაგრძელებული ბორცვი აღ-
მართულა. ორგვლივ შოხანს გარცვალსანი-
ავებელი აგრძეგატები, სასუქის შესატანი
მანქანა, გუთნიანი ტრაქტორი, ცისტერნა,
ნიჩბები, ოთხსაყილოიანი მუხის კასრი...
ძველი ვაგონი ძმისაღლე რყინის ფეხებზე
შეუსკუპებიათ, რომ მის ჭირები ადგილად მი-

არა, აქ სრული იდილია სუფენტს და კა-

რომლისთვისაც ხალხის სიტყირის
გამო ქეცებური გაფეხით ფერუ კი ჭარწო-
დებიათ საველე ქალო, სიძალ ქაში კაცი
ტრიალებს. მუშაობით გრძელულ ამ საქ ქაცეს
შორიდან რომ უთვალთვალოდ, შე-
იძლება თავიდან მუნჯებიც კი გეგონოთ:
მუშაობენ უსიტყვოდ, უფაციფუცოდ, მაღ-
ლიან-ბარაქიანად, საქმის ცოდნითა და
ერთგულებით. აქ დაგროვილი ასობით ტო-
ნა მარცვლეული მხოლოდ ამ სამმა კაცმა
გალეწა და მოზიდა კალოზე. აქლა კი ბე-
ლელში აგზანინან.

ეს სამი შექანიზატორი სილნალის რაიონის სოფელ ბოლბისევკის წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის არენდატორები არიან.

არენდული იჯარის მოთავე და სულის-
ჩამდგმელი, ვალიკო პავლიაშვილი იყ.

ვალიქო პავლიაშვილმა 1970 წელს წარჩინებით დამტავრი საქართველოს სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი, დაუბრუნდა მშობლიურ ბოდისსხვეს და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობის მთავარ ინჟინირად. უხვი მოსავლისათვის ორჯერ — 1974 და 1977 წელს — დააჭილდოვეს სსრ კაშშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლებით. დაფასება და ყურადღება ოც სხვა მხრივ დაპლებია — ორჩეული იყო საქართველოს კომპარტიის 27-ე და საქართველოს კოლმეურნეთა მე-4 ყრილობების დელეგატად.

ასე, გადიოდნენ წლები. მაგრამ 1987 წლის შემოდგომაზე ამ კაცის სულა და გონებაში მოულოდნელი შემოძრუნება მოხდა: ჩაღაცნარიად მიწის ძახილი და მიზიდულება იგრძნო, მინდვრისკენ გაუწია გულმა. მართალია, მანამდეც სულ მიწასთან ჰქონდა საქმე, მაგრამ სხვისი მეშვეობით, ის მაინც მთავარი ინუინგრი, მაშასადამე, უფროსი, ზემდგომი, განმჭარეულებელი, სხვისი მაკონტროლებელი იყო. ხოლო თუ სამართლეს ვიტყვით, მიწისთვის ვინ აცდიდა — დღე და ღამე მოუხელოებელი სათადარიგო ნაწილების საშოარიჩევიაროდა. ახლა კი გულით მოსწყურდა, რომ მიწის უშუალოდ თვითონ შემოდა, თვითონ უცადა მკლავი და გუთანი, სხვისი მომაბეზრებელი ჩიჩინის, მითითების, გაფრთხილების, მუქარისა და წაქეზების ნაცვლად დამოუკიდებლად ყოფილიყო მხენელიც, მთესველიც, მომკელიც, აღმრიცხველიც!

ვალიკოს სურეილი სოფელში თავიდან
ბევრს ახილებად მიჩნდა. და ეს, თუ მა-
თი არშინით გავზომავთ, არც იყო გასაჭ-
კირი: კოლმეურნეობის მთავარი ინიციერი,
ხელფასი 280 მანეთი, პრემიები, მყარი და
სხაბრძოლო მდგომარეობა. აბა, მეტი რა-
ღა უნდა სდომებოდა სოფლელ კაცები! სა-
არენდო იჯარისას კი მოწრილი ხელფასი
არ ექნებოდა, ყველაფერზე თვითონ უნდა
ემტკრია თავი, საზისკოც ბევრი რამ იყო,
ვინაიდან წინასწარ არავინ იკოდა, საიდან
რა გამოვიდოდა. სუევ ბევრი რამ ჰქილია
ამინცებუ. თანაც, ვაითუ დღევანდელი ხელ-
მოსაცემი სამეურნეო-ეკონომიკური პო-
ლიტიკა ახლო მომავალში სუევ შეიცვალოს
და ენთუზიასტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარ-
დეთო.

— ყავილაფერს რომ თავი დავანებოთ,
არავინ შეგიძინება გლები, ვალიკო, — გულს
უტეხლენ ზოგიერთები. — აუტქივარ თავს
ვინ აიტკიებს, ლიქრთი გიშვილის!

მაგრამ მსურველები გამოჩნდნენ: სატ-
რაქტორო ბრიგადის ბრიგადირი შოთა კუ-

სრაშვილი და შოთერი-მექანიზატორი გა-
ლა შუბითიძე.

სამიერნი ვაჟა-ფშავერი ფიციოთ შეკრიბის
ერთმანეთს და ოფიციალური ხელშეკრუ-
ლებაც გაფორმდა. მათ კოლმეურნეობიდან
ორი ათას წლამდე არენდით აიღოს 340
ჰექტარი სახნავი და საწარმოო საშუალებე-
ბი. ტექნიკისათვის ისინი მხოლოდ სამორ-
ტიზაციო ღირებულებას გადაიზიან. არ-
ენდატორებმა მოწეული ჭირნახული —
ხორბალი, ქერი, სიმინდი, მზესუმზირა,
ლობიოთ და ბაოჩეული, კოლმეურნეობას
უნდა მიპყიდონ დადგნილ ფასად. შეკვე-
თის ზევით მიღებული პროდუქტების 50
პროცენტიც სევ კოლმეურნეობას უნდა
მიაწოდონ იმავე ფასებში, ხოლო დარჩენი-
ლი 50 პროცენტი კი მათ ჩერებათ და შე-
უძლიათ გამოიყენონ თავიანთი სურვილი-
სამუშარ.

ყველაფერი ნათელი იყო და სამი თანა-
სოფლელი მუჟათად შეუდგა საქმეს. არ
იყითხავთ, როგორ?! თავიანთი კოლეგების
მიერ აღრე მონაცენულ მინდობრს გრი ინდუნე
და ხელახლა გადაწყნეს! აქ ერთ მრავლობ-
შეტყვილ დეტალზეც უნდა გიაბოთ, რო-
მელიც დღესაც დაუჭირებელ ამბად დადის
მთელ ქიზიყში. პავლიაშვილის თაოსნობით
ეს საქაციანი სასურათო ჯაუფი ჩამოყალი-
ბდა 1987 წლის ოქტომბერში, ხოლო სამი
თვეს შემდგებ ბოლდისხევის კოლმეურნეობა
ორად გაყიდ, რაღაც მეტიმეტი სიღიდის
გამო მისი მართვა ჭირდა. ახლადგიმოყო-
ფილი კოლმეურნეობის თავკაცის ერთ-
ერთ კანცილატად სოფელმა ერთხმად და-
სახელა ვალიკო პავლიაშვილი. ყველა დარ-
წმუნებული იყო, რომ მას თავმჯდომარე-
ობა არ ასცდებოდა. მაგრამ თვითონ ვალი-
კომ იმდენი იუარა და იდავიდარაბა, სანამ
თავისი კანცილატურა არ მოახსნევინა.
ამით, როგორც თვითონ ამბობს, ცოლი სა-
მუდამოც მოიმდურა, სოფელი განაციფ-
რო, ამხანაგ-არენდატორები კი ნდობითა
და სიხარულით აავსო.

— ეს ბიჭები მე შევაგულინე, ახლა
კიდევ მიძღოვვებინა და თვისგან მარტინ
წამოვსცუპებულიყავი?! — თავს იმართ-
ლებს პავლიაშვილი, — რა მეტვა, სირცე-
ვილით თავი სადღა გზომებყო? ეს ხომ
ნამდვილი ღალატი იქნებოდა: რაყი პირო-
ბა შევკარით, მოჩიხა, ჭაპანიც ბოლომდე
ურთად უნდა გავწიოთ!

და მაიც არ შეიძლება მკითხველს არ
დატბოროს ერთი ბუნებრივი კითხვა: კოლ-
მეურნეობის მოწინავე მთავარი ინჟინერი
რამ აიძულა, თუკი შეიძლება ასე ითქვას,
მეტოვებინა თანამდებობა და უბრალო,
რიგითი მხენალ-მთხველი გამხდარიყ.

— სიმართლე გიორგიათ, სისხლი მეონ-
და გამშრალი ამ სათადარიგო ნაწილებზე
სირბილისაგან, — გაწარებული კაცის გა-
მომტკველებით იგონებს ყოფილი მთავა-
რი ინეინერი. — საქმეში ჩატენდავი კაცი
კერც წარმოიდგენს, სულ უმნიშვნელო ნა-
წილისთვისაც კი რამდენი თხოვნა, ყელის
ჭავა, ლიგინი, ეშმაკობა და თავის დაცი-
რება უჩდება მთავარ ინეინერს. მაგრამ
უფროსებს არაფრის გაგონება არ სურთ და
მხოლოდ ერთს მოითხოვენ, ტექნიკა მუ-
დამ მზადყოფნაში გქონდეს! კაცი შეიძლე-
ბა გაგიდეს: სათადარიგო ნაწილები ჭრ
ისედაც მცირე რაოდენობით მოდის და
ისიც ღმერთმა იცის, როგორ ნაწილდება.
ჰოდა, თუკი სისტემატურად და სრულყო-
ფილად არ მოამარავებენ, ამდენი
ორენიდა როგორ, რა გზებითა და ხერხე-
ბით მქონდეს მზადყოფნაში — ციდან ჩა-
მოვალავებ, საწყობებს გავძირევავ თუ სა-

კუთარ ქარხნებს ავაშენება? მოქლედ, ამ
სათადარიგო ნაწილების გადამყიდვე, მუდამ
ორცეცხლშუა ვიყავი მოტანებული: ცალ-
კე ხელმძღვანელები მოითხოვდნენ, ტაქ-
ნიკა მზადყოფნაში რატო კურ მოგიყვანია-
და ცალკე რიგითი მექანიზატორები ისე
მსაყვედურობდნენ, რატო ამ მოგაქვს სა-
თადარიგო ნაწილებით, თითქოს მაძლივდ-
ნენ და მე კიდევ ამ მომქონდა. და ეს ყველ-
აუგერი თანდათან ისეთი უტანელი ჩდე-
ბოდა, რომ ერთი სული მჭონდა, თავი და-
მეღლია ამ ტანგა-ზამებისთვის და რიგით,
დამოუკიდებელი მხვნელ-მოესველი გა-
მხდარიყავო.

გალიკო ჩაფიქრდა და ცერად გაწედა
მოლივლივე ალაზანს.

— მეორე მიზეზი კი აი, აა იყო: საარენდო იგარის პირობები აქარიად გვიჩვენებს, რომ თუ გულიანად ვიშრომებ, იმაზე გაცილებით მეტს მივიღებ, ვიდრე მთავარ ინჟინრად ყოფნისას ვლებულობდი. მაშ, აა-ლაზე უნდა დამეტია უკან? ტრაქტორის მუღამი არ ვიცი, სწორე კვალს ვერ გავატარებ თუ ხელი მაკლია, ანდა ჭანი არ მომდევს?...

დაღმდება. აჩენდატორებმა მუშაობას თავი განებეს და გატმის სახაზადისს შეუდანენ. კოლოფებისაგან თავის დასაცავად კოცონი ავალრჩოლეთ და გარშემო შემოვუსებელით.

ჩვენი საუბარი ისევ საარენდო იჯარას
უტრიალებს.

— ეს იგი, რა გაძოდის? — ვეკითხები
პავლიაშვილს. — თქვენ, სამა კაცმა, კოლ-
მეურნეობისაგან არენდით აიღოთ 340 ჰექ-
ტარი მიწა.

— დიან, სწორია.
— მაგრამ კოლმეურნეობას კიდევ დარჩა 2 600 ჰექტარი სახნაც-საოცესი. ჰიდა, საარენდო იჯარა თუკი მართლა ასეთი კარგია, როგორც თქვენ მიხსინათ და როგორც ციფრებიც მეტყველებენ, მაში, რაღაც უცდიან: სხვებიც ჩატომ არ იღებენ მიწას — შეცილება არ უნდა ჰქონდეთ?

— Ասա՞! — որածիրոցնալ հայունա քազ-
լումամբուլս դա հագոյիրդա.

— მსურველები კი ორან, მაგრამ ვარ
გაუტელიათ, — დაიწყო შოთა კუსრაშვილ-
მა. — ჯერ ჩენ გვიყურებენ — საბოლოო
შედეგი როგორი იქნება და რა დაგრძება.

— თანაც არ დაივიშუოთ ერთი რაზ, —
ჩერთობ პალიაშვილიც, — ვისაც მამა-პა-
პური შრომა და ოფლისლგარა ეზარება, ის
არასოდეს მოკერდებს ხელს არენდას: რა-
ტომ, რისთვის, რა ძალა მაღვაო, ფიქრობს
გუნდებაში.

— კაცო, თუ ვამბობდ, ბარემ სრული სი-
მართლე ვთქვათ! — აიღლილდა გელა შუ-
ბითიძე, — ჩვენდა სამარცხვინო გლეხი
ხომ მოვწყვიტეთ მიწას და თანაც ისე
გავაქმნეთ და გავაქმნაქთ, რომ ახლა ყო-
ველგვარ სიახლესა და პასუხისმგებლობას
უფროთხის. მოდით, გულახდილად ჯილადა-
რაკოთ: რატომ უნდა მოჰყიდოს ხელი იჯა-
რას, როცა მუშაობით მაინცამაიც არც
ახლა იყლავს თავს, ხელფასი კი გადაწყვე-
ტილი იქნა. თანაც ყვილაფერი — თესლი,
სასუქები, ტექნიკა, სათადარიგო ნაწილები,
საწვავი — კოლეგურნებაზ უნდა მიუმა-
რაგოს, თვითონ კი გულდაახხეინებული
იჯდეს: მიართმევთ — რა კიჩი, არადა, რა
ენალვლება, პასუხს სხვას მოსთხოვენ,
ტყავს სხვას გააძრობენ! ჩვენ? რაც ამ იჯა-
რას, მოვწყიდეთ ხელი, მოსვენება დავკარ-
გეთ: არავისი იმედი აღარა გვაქის, ყუი-
ლაფერზე ჩვენ უნდა ვიმტკრიოთ თავი და
თვითონ მოვაგვაროთ...

— სამაგიეროთ თქვენ.

— ერთი წუთით, ერთი წუთით, — ხელები გასავსავა გელამ, — ქარეჩებ ზრტობდე გათქმევინეთ... ხოლო, რაც შეიხებდი მექვეთის ზევით მიღებულ ჭირნაგულს, ავენ რომ გვრჩება, რა ბედენაა, იმდენს, კორტა ნაკლებს, ანდა კორტა მეტს ზოგიერ-ები საარენდო იჯარის გარეშეც ადვილად მოულობდენ.

— ၁၂၁

— ჩახაირად და კოხტად — იპარვებ! უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ყველა- ი აბოლუბულ ციცქას ჩავიწერდით.

— კერ გაამტყუნებ, გელა ბართალია, —
მენიშნა ვალიკომ, — სოფლის მეურნეო-
ბაში ბევრი რამ ჭერ კიდევ მოსაგვარებე-
ლი, გადასაწყვეტი და შესაცლელია. მე
თუ მკითხავთ, ბევრსა სურს, მაგრამ საა-
ჩენდო იჯარს ხელს არ კიდებს, რადგან
უძღვს, რომ მატერიალური ბაზა ძალზე
უარიბია და არ სურთ პასუხისმგებლობის
იღება, შიშობენ. მართალია, 340 ჰექტარი
მიწა გაღმოვგვცეს, მაგრამ მარტო მიწა რა
ზოგის, მიწა თავის თავს თვითონ ხომ არ და-
მუშავებას?! მას გამართული ტექნიკა და
უაიმედო ბაზა სჭირდება! მე თუკი რაღაც
ლილავის, დგუშისა თუ ფილტრის საშორ-
ელოდ აქამდე ვიწაწალებ მთელი დღეები,
მიწა ვილმ დამიტუშოას?!

— შენ ეგა თქვი და! — მხარი აუბა შო-
იამ. — საინტერესოა, გარდაქმნისა და იქა-
რის კვალდაკვალ ჩეენი მრეწველობაც
არაფერს ვიქრობს?

— არადა, სხვანაირად არა გამოვა რა, —
იტყვა მაწოლა ვალიკომ, — მეარენდე-
ბს ჰაერივით გვეპირდება მცირებადარიტე-
ნი ტექნიკა. იმ დღეს საძოოთა მეურნეო-
ბის სანერგეში აგსტრიული ტრაქტორი
წარაპირდება — ერთი უნდა ვიკითხო, სად და რო-
მირ იშვევს. ისეთი პატარა, კოხტა, მსუ-
ლექტი, გამძლე და მოძრავი იყო, რომ პირ-
აპირ გინდონდა, სუვენირივით წაგელო ში-
და და მაგიდაზე დაგედგა. ოცდახუთ ცხე-
ოსისძლიანი ყოფილა, მეტი არა. მეტი პირ
უნდა, ზედამოკრილია ბარჩეულის სამუ-
ხაოდ. პორა, აი, ასეთი მინიატურული
ტრაქტორები ან სამშულო მრაწველობა-
ც უნდა გამოუშვას, ან ეს ჩვენი ასორ-
ციცლაათ ცხენისძალიანი „ტ—150“ დაპა-
ხარავდეს, ანდა, თუ საშველი აღარ არის,
აშინ უფლება მაინც მომცენ, რომ ყოველ-
გარი გაჯანჭლების გარეშე ჩემი ფულით
დევიდინო ისეთი ტრაქტორი. თორებ ბალ-
ეულში ჩვენებური გიგანტები რომ გაა-
ხარო, პამიდორი კი არა, იქ მურშაც გილია
მოვა.

— ანდა სასუქები ავილოთ, — მოიჩინელა
ელმ. — ცელოფანის ტომჩებში ისე ქავ-
ება, რომ პირველ რიგში მიწაზე უნდა
ამოყარო და ურო-ხედათი დაუშვნა, მე-
ოუ კი ათობით ტონა ნიჩაბით დატვირთო
ასუქსაშლელ მანქანაში. ეს ხომ პირდაპირ
ატორლული სამუშაო! ამ ზამთარს თბი-
ისში დავინახე თოვლის სატვირთი მან-
ანა, თვალი ზედ დამრჩა! ამ ტიპის მან-
ანები რომ დაგვიძმადონ სასუქის დასატ-
ირთად, ჩვენს ბერს ძალა არ დაკუფრდა!

კივანებშეთ. კოცონი გავანელეთ და გა-
ონში შევიყრიდებით ერთმანეთის შეიყ-
ლებით. ვაგონში ცხელოდა, მაგრამ სამა-
რიოდ კოლობები არ იყვნენ. სამო იყო
აბლის ნაცნობი სუნი. სადღაც შორს დაგ-
იანებული მანქანის სუსტი გუგუნიც მი-
ყდა და მხოლოდ ოლოლების გულის-
ომშეყვლები გადაძალილია ისმოდა მდი-
არის ჭალანი ნაპირიდან.

● გარემოს მსგავსს საქმიანობაში მზის ლიტერული პარტიინორია ბუნების საოცრებათაგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი საოცრება — მცენარე. რაში გამოიხატება სამყაროს ამ ორი სრულიად განსხვავებული ფენომენის „შემოქმედებითი თანამშრომლობა?“ მცენარე — ბალახი იქნება ეს, ბუჩქი, ხე, თუ სხვა სასიცოცხლო ფორმა, მწვანე ორგანოთა თითოეულ უჯრედი მინიატურული ლაბორატორია. მაგრამ მისი მოქმედებაში მოყვანა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მზის სხივებს. მცენარე თავის ლაბორატორიაში თავს უყრის წყალს მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებებით და ატმოსფეროში არსებულ ნახშირორეანგს. ამ არაორგანული კომპონენტებისაგან ქმნის ორგანულ მარიოსა — საკვებ პროდუქტებს.

ამგარად, მცენარე ბუნებაში ორგანულ ნაერთთა დამამზადებლის, ანუ პროდუცენტის როლში გვევლინება. ამ ნაერთუბით, პროდუქტებით იკვებება, იზრდება, ე. ი. არსებობს, უწინარეს ყოვლისა, თვითონ მცენარე. მაგრამ გარემოში ბუნებრივ ნივთიერებათა ტრანსფორმაცია მხოლოდ მცენარის ღონებზე როდი წყდება. მცენარე საფუძველს უყრის ორგანულ ნაერთთა ერთი ფორმიდან მეორე ფორმად სახეცვლილების შემდგომ პროცესს.

ამ მოვლენას, რომელსაც საფეხურეობრივი ხასიათი აქვს, მცენიერებმა ეგზოტიკური სახელი — „სიცოცხლის პირამიდა“ უწოდეს. მოვლენის არის ასეთია: მცენარის მიერ შექმნილ მზამზარეულ პროდუქტს შემდეგში მოიხმარენ ცხოველთა სრულიად განსხვავებული ჩაუჟები. ამდენად, ცხოველები ბუნებაში მომხმარებლების, ანუ კონსუმერნების როლში გამოდიონ. სწავლულებმა ამ პროცესსაც ზედგამოცრილი სახელი — „კვებითი ჭაჭვი“ დაარქვეს.

მცენარის მკამელ ორგანიზმებს — ცხოველებს, უხერხემლოები იქნებიან ისინი თუ ხერხემლიანები, წვეთ-წვეთობით, ლუქმა-ლუქმა შეპყავთ თავიათ ორგანიზმში ვეგეტატორიანული საკვები. ვეგეტატიონერები მცენარეებს ტონობით ხორციად, ე. ი. საკუთარ სიცოცხლედ გარდაქმნიან.

ნებისმიერ ველურ ლინგვატში — ჯუნგლში, საგანაში, ტყეში, უდაბნოში, ველში, მთაში, თუ სხვაგან მოხვედრილ კაცს მტაცებელ ცხოველთა იერი, ხმა შეახსენებს: ბუნებაში არც მცენარისმჭამლებით წყდება კვებითი ჭაჭვი. ლომი, ვეფხვი, ჯიქი, მგელი, არწივი, შევარდენი, დიდი თუ პატარა მტაცებლები, ღრო და ღრო ლებულობენ მათვის საჭირო სისხლიან ძღვენს.

მთავრდება მტაცებელთა ლრეობა. ღროვბით მოსევნებას ეძლევიან ფერდსავე-იგრესორები. მიწაზე რჩება ნასუფრალი. სულ მალე არც ამ უკანასკნელს დატვებენ ხელუხლებელს.

ბუნების არენაზე ახლა ლეშიჭამია ცხოველები გამოდიან. ტურა, აფთარი, სუვი, ორბი და მათი მსგავსი ბოლოს ულებენ ნასუფრალს. შემთხვევით გადარჩენილ ძვლის უკანასკნელ ნატეხს, ხორცის ან ტყავის ნაგლეჯს შლიან და კვლავ არაორგანულ ნივთიერებებად იქცევენ „ბუნების უდიდესი მესაფლავენი“ — მიკრორგანიზმები. ამ უკანასკნელებს დამშეულებს, ანუ რედუცენტებს უწოდებენ.

ხანგრძლივია და საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის საიდუმლოებითა მოცული მზის სხივის თვითონ. თვიდაპირველად მისი მონაწილეობით იქმნება მცენარის უჯრედი. მცენარეს ჭამს ვეგეტატორიანელი ცხოველი. მცენარისმჭამლებით იკვებებიან ხორცისმჭამლები. ეს უკანასკნელები ზოგჯერ უფრო ძლიერი მტაცებლების მსხვერპლი ხდებიან. ნარჩენებს ასუფთავებენ ლეშიჭმიები და ბაქტერიები. უტილად ქცაული ორგანული ნივთიერებები მინარევების სახით კვლავ მიწას უბრუნდებიან. ამ უკანასკნელებს იოლიდ ითვისებენ მცენარეები და ხელახლა გარდაქმნიან მათ ორგანულ ნივთიერებებად. შეიქმა ციკლი. იგი დაიწყო მცენარის მწვანე ორგანოთი და დამთავრდა მუდამ შშიერი აფთარითა და გველგან არსებული მიკროორგანიზმებით.

სეა აგებული სიცოცხლის დიადი პირამიდა. მის ბალაგრის მცენარეები ქმნიან. იმისათვის, რომ ხორცისმჭამლებმა იარსებონ, მცენარეთა ბიომასა (პირამიდის პირველი საფეხური) გაცილებით უნდა ჭირბობდეს მათ მომხმარებლებს თავის მხრივ, პირამიდის მომდევნო საფეხურის შემქმნელ ორგანიზმთა — ხორცისმჭამლელთა რიცხობრიობა საგრძნობლად უნდა აღმატებოდეს მტაცებლებს. პირამიდის მესამე საფეხურზე მდგომი ცხოველების (მტაცებლები) სულალობა უნდა ჭარბობდეს კველაზე ძლიერ მტაცებელთა (ლომი, ვეფხვი, არწივი) რიცხვს. ბუნების სულ ზედა საფეხურზე მყოფ — ლეშიჭამიათა პოპულაცია კი ყველა დანარჩენზე მცირერიცხოვნობით უნდა ხასიათდებოდეს. ეს წონასწორობა ბუნებაში უხსოვანი დროიდან ასეა დაცული.

კვებითი ჭაჭვების თითოეული რგოლის, სიცოცხლის პირამიდის ნებისმიერი საფეხურის ამა თუ იმ სახით ხელყოფა იწვევს გადაწყვეტას, პირამიდის ხუსტულასავით დანგრევებს, ეკოლოგიური წონასწორიბის დარღვევებს. მსგავს ექსცესებს ბუნებაში პრაქტიკულად არა აქვს აღგილი. ბუნების ეკოლოგიური პირამიდის ხელშეუხებლობას თვით ბუნება არეგულირებს მილიონობით წლების განმავლობაში შემუშავებული კანონზომიერებებით, რასაც სპეციალისტების „ჰომეოსტატიკურ მექანიზმს“ უწოდებენ.

ასე, მაგალითად, გარეულ ბალახისმჭამლებს, უმთავრესად ჩილიქოსნებს, მისპონამდე არასოდეს მიპყავთ მცენარეული საფარი. მსგავსი დაკვირვებება ჩატარებულია აფრიკის სავანაში.

რა საკვები აუთავდებათ აფრიკის სავანებში მობინარე ჩილიქოსანთა ურიცხვ ჭოგებს? ასეულ ათასობით წლების განმავლებაში გარემოსთან შეგვების წესმა განაპირობა აფრიკის სხვადასხვა სახეობის ჩილიქოსნებს შორის საკვების ისე განაწილება, რაც პრაქტიკულად თავიდან აშორებს მათ კონკურენციას. პირამიდი, ისინი თითქოსდა აგსებები კიდევაც ერთმანეთს. ზებრები და ორი სახეობის ანტილი — გნუ და კონგონი, ბალახის ძოვენ მწვანე საფარის განვითარების სხვადასხვა ფაზაში. მაღალი, უხეში ბალახის ძოვეს პირველად ზებრები იწყებენ, მათ მოსდევს გნუ, კონგონი და გაზელე-

ბი. ცხოველის არც ერთი სახეობა არ კვერცის ბალახს ძირადე. როგორც კუბალახის სათანადო სიმაღლეზე დაიკვანება ჩლიქოსანთა ამა თუ იმ სახულების ჭოდება გზას.

კონკურენციის თავიდან აშორების შეორე ხერხია ლანდშაფტის განსაკუთრებულ აღვილებში ძოვა. მაგალითად, თითქმის დაჭაობებულ დაბლობებში უყვარს ბალახობა ანტილობა ტონის. ტონის შეორე ჭვესახებიან კი, პირიქით, უბირატესობას ანიჭებს მარცვლოვანი ბალახებით დაფარულ გაშლილ სივრცეებსა და ნათელ ტყეებს. ცხოველი აქ ჭამს გაღაბერებული ბალახის ისეთ ხმელ ღეროვანს, რომლებსაც პირს არ აკარგებენ ზებრები, გნუ და კონგონი. ასეთი კუვეთი ტონი უნდღლიერ მეორე კარგ საქმესაც უკეთებს თანამომებეთ და საერთოდ, სავანას: გამხმარი, სხვების საკვებად უვარევისი მცენარეების განადგურებით ისინი ამცირებენ სავანაში ხანიშროებას.

აქამდე ლაპარაკი იყო სავანის ბალახისმჭამლე ჩლიქოსნებზე. მაგრამ აფრიკის ამ სამოთხეში ბინადრობენ ხეებისა და ბუჩქების ფოთლებით მკვებავებიც. თურმე ცხოველებს შორის სრული წესრიგი სუფეეს მცენარეთა მწვანე სართულების საკვებად გამოყენების თვალსაზრისითაც. მაგალითად, მარტორქები საბინადრო აღგილებად ირჩევენ წყალსაცავების სანაპიროსათან მოზარდ მცენარეთა რაყებს, იშვიათად გორაკთა ფერდობების ქვა-ლორიანი ნაშალებს.

სულ სხვაგვარიად იკვებებიან ურიაფები. მართალია, ისინი ხშირად გადაკვეთენ ხოლმე მარცვლოვანებს, მაგრამ ბალახებს პირსაც არ აკარგებენ. მათი საყვარელი საკვებია მძიმე თიხნარ ნიადაგებზე მოზარდი აქაცია. უირაფი ხუთა სიმაღლის გიგანტია. იგი ერთადერთი ცხოველია სავანაში, რიმელიც მცენარისათვის სერიოზული ზიანის მიუყენებლად ხეთა ფოთლებით იკვებება. უირაფი, ჩვეულებრივ, კენჭროლად მოყოლებული მეტრნახევარსამ მეტრი სიმაღლეზე წიწკნის. მცენარეთა ასევე მაღალ ჰორიზონტებში იკვებება სპილოც. მაგრამ უირაფისაგან განსხვავებით, იგი ამტკრეცებს ხემცენარეებს.

თავისი მომხმარებელი ჭავას სავანის ბუჩქებსაც. ეს არის გერენუკი, ანუ უირაფისებრი გაზელი. ეს გრძელების სირიანი არასოდეს და გეგება უკანა რა ფეხზე და ასე წვდება ბუჩქების ფოთლებს. გერენუკი ხე-ბუჩქთა ფოთლებს დაულის იქიდან, სადაც კვებას წყვეტის უირაფი და თითქმის ნიადაგმდე შეექცევა მათ. და ბოლოს, მრავალრიცხოვანი ბუჩქების ფოთლებით იკვებება მცენარეთა შეექცევა მარტარ-პატარა ბუჩქების ფოთლებით.

თუ უირაფი და გერენუკი დაბლობებში პოულობენ საკვებს, პატარა და დიდი კუდუები უპირატესობას ხშირად ძნელად მისაწვდომ გორაკებს და ხეობებში ფერდობებზე მოზარდ ბუჩქნარებს ანიჭებენ. კომმიტორმას ფოთლებსა და ყლორტებს ეტანება დიბატაციი — კიდევ ერთი გიგანტური თხისანირი. ეს მცენარე ეკლინი ხეა, რომელსაც ცხოველთა უმრავლესობას გვერდის. წონასწორობა ბუნების მცენარეთა ქვედა იარუშიში წარმოდგენილი, უმთავრესად პატარა ბუჩქების ფოთლებით.

წონასწორობა ბუნების ობიექტური კონკრებიდან გამომდინარეობს, მის გარეშე

სამოქალაქო კურიერი

წარმოუდგენელია გარემოს სიმყარე. ასეთი კანონიერება რომ არა, ჩვენს პლანეტაზე შეუძლებელი იქნებოდა თვით სიცოცხლეც კი.

დავუბრუნდეთ ისევ ტყეს, ოლონდ ზომიერი სარტყლისას. თუ, როგორ განიხილავენ ექოლოგები მის შემაღებენელ სამეულს — მცენარეებს, გარეულ ჩლიქონებსა და მსხვილ მტაცებლებს.

ჩლიქონები (ირემი და ცხენირემი) იქვებებიან ხეთა ტოტებით, ფოთლებითა და ყლორტებით, ასევე ბუჩქებითა და ბალახებით. ჩლიქონებზე კი ნადირობენ მტაცებლები (მგელი, დათვი, ფიცვერი). როდესაც ირმები და ცხენირმები ძალის მომზადებიან, ისინი დიდ ზაანს აყენებენ ტყეს. მაგრამ ჩლიქონები კვებავენ მტაცებლებს. შესაბამისად, ისინი ნორმაზე მეტად მრავლდებიან.

ჭარბად მომრავლებული მტაცებლები თანდათანობით ამჟარუჭებენ ჩლიქონსანთა რიცხობრივ ზრდას. ტყე ღროის გარკვეულ მონაცემთში „სულს მოითქვამს“, იშუშებს ჭრილობებს. მაგრამ იკლო ჩლიქონების რიცხვმა, შემცირდა საკვები. ახლა რიცხობრივ კლებას იწყებენ მტაცებლები: მათ თვითონვე „შეარყიეს თავიანთ საკვები ბაზა“ და ახლა ზოავენ თავიანთ „შეცდომებს“. ამასობაში მტაცებელთა შევიწროებისაგან, ანუ როგორც ექოლოგები იმბობენ, მტაცებელთა პრესიდი გათვისუფლებული ჩლიქონებითანდანობით აღდგენენ პირვანდელ რიცხობრიობას. როგორც ვხედავთ, კველაური თავიდან იწყება, წრე შეიკრა. წონასწორობა აღდგა.

ასეთი წონასწორობა პირობითად შეკვიდლია შევადაროთ საათის ქანქარას. მხოლოდ თვალის დახამხამებაში იმყოფება იგი „ნორმალურ“ მდგომარეობაში — რომ უკიდურესი წერტილის შუაში. ასევე ბუნებაშიც: ბუნების ცალკეული კომპონენტები წონასწორობის იდეალურ მდგომარეობაში იმყოფებიან ღროის სულ რაღაც მცირე მონაცემთში.

დავუბრუნდეთ ისევ საათის ქანქარას. ღროის ამ მცირე მონაცემის გარდა ქანქარა ცენტრიდან გადაჩრილია ან მარჯვნივ ან მარცხნივ. იმავე სურათს ვხედავთ ბუნებაშიც. მართალია, ბუნებაში წონასწორობა კი არის, მაგრამ აյ მიმდინარე

ართოლდ გეგმვითი

სასიცოცხლო პროცესები იდეალურ მდგომარეობაში თითქმის არასოდეს იმყოფება. სასიცოცხლო პროცესების ზეგავლენით ხდება წონასწორობის იდეალური მდგომარეობიდან ხან ერთ, ხანაც მეორე მიმართულებით გადახრა. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ როგორც მექანიზმის (ამ შემთხვევაში საათის ქანქარას), ისე ბუნების არა იდეალურ, არამედ შეფარდებით წონასწორობაზე. ასე იყო ეს უსიკოვარი ღროიდან, ასე არის დღესაც.

ახლა განვიხილოთ მაგალითი, როდესაც გარეშე ძალების უხეში ჩარევით ირვევა ეს შეფარდებითი წონასწორობა, სხვანაირად, როდესაც ბუნების ქანქარა ერთ არმელიმე მხარეზე ზედმეტად გადაიხრება.

ჩვენს ქვეყანაში, ბევრ ადგილას, განსაკუთრებით ნაკრძალებში, მთლიანად მოსპეს მგელი, ჩლიქონსათა ეს ბუნებრივი მტერი. და ის, ორმოცდაათიან-სამოციან წლებში შეიქმნა ექოლოგიური მეცნიერებისათვის კარგად ცნობილი ასეთი მდგომარეობა: გაანადგურა რა მგლები, ადამიანმა ვერ შეძლო მათი მთლიანად „შეცვლა“ და ჩლიქონებზე კონტროლის თავის ხელში აღება. ამიტომ ისინი ზეკარბად მომრავლდენ. რუსეთის პირბებში ზეკარბ მომრავლებას ექოლოგები ციფრების ენით უწოდებენ ვითარებას, როდესაც ათ ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ოცდახუთზე მეტი ირემი ცხოვრობს. მათ გაანადგურეს ხელმისაწვდომი საკვები და დამშენება.

რა შეემთხვათ ჩლიქონებს ტყეში? მართებული იქნებოდა ამ კითხვაზე შოთა ნიშნიანიძის სტრიქონებით გაგვეცა პასუხი:



უ ტყეში შეიერ მგელივით

არ გაძინდულდა შიში, —
ირმებისა და შველ-ნუქის გადაშენდება ჯიში.

ბიოლოგიურ პირამიდას საფუძველს არც მტაცებლები ურყევენ. ეს უკანასკნელები არასოდეს არ ხებებიან ჩლიქონების ამოწვეტის მიზეზი. შეიძლება პარალექსადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ უსსოვარი ღროიდან მყოლებული, ვიღრედლებულ, მტაცებლები იცავთნენ თავიანთ მსხვერპლს, რათა ეს უკანასკნელები არ ამოხოდისავნენ.

ამგვარად, დღეს ბუნებაში არსებული წესისა და თაღარიგის უმთავრეს დამრღვევად პლანეტის ყველაზე გონიერი ანსება — ადამიანი გვევლინება. ამ, ერთ შეხედვით, ალოგიკურ ფაქტს აქვს თავისი საფუძველი. „ოდითგან დაწესებულ ბუნებრივ წონასწორობას საძირკველი მაშინ გამოეცალა, როდესაც ადამიანთა მოსახლეობის სიმჭიდროვემ გადააბიჯა სათანადო ზღვარს“, — წერს წიგნში „მანამდე, სანდ ბუნება მოკვდებოდეს“ ბუნების მხურევალ ქომაგი, ფრანგი პროფესორი უან ლორსტი.

— ჩვენი გამოხენით კონტინენტები სწრაფად ჩახანაკდებიან, — ასკვნის „აფრიკის მწვანე ბორცვებში“ ერნესტ ჰემინგუეი.

დედამიწის გარემოს კანონზომიერებებში ჩაწერომა ხელეწიფება მხოლოდ ადამიანს. ამიტომ ადამიანი კი არ უნდა აკნინებდეს დედამიწას. პირიქით, იგი ვალდებულია, ხელი შეუწყოს მის მთლიანობას, ბუნების ცალკეულ წევრებს შორის დაწესებული პარმონიის განვითარებას.

,,၊, მოვკვდები და პოლიტ-
ბიუროში თუ მთავრობაში ერ-
თმანეთს პატარა ბიჭებივით
დაერევით. ჩვენს საერთო შე-
ცდომებში მთავარ დამნაშავეს
დაუწყებთ ძებნას. დიახ, ბევ-
რი შეცდომა და სიძნელენი
გვქონდა. ვიცი, უკელაცერში
მე დამადანაშაულებთ და ჩემს
სამარეს ნაგვით დაფარევთ. მა-
გრამ არაუშავს, არაუშავს, ის-
ტორისის ქარი დროთა განმავ-
ლობაში გაფარტავს იმ ნაგვს“

(სტატია)
შერნალი „სოცეტსი პირ“
№ 7, 1988 წ.

ბრნენ, გვემოგზაურა მათთან
ერთად ადამიანთა სულის ლა-
ბირინთებში, სასაცილოც კიდ
გასახესნებლად, რა სისულე-
ლეებით ვიყავით ღატვირთუ-
ლი გარდაცვალებამდეო.

საიქი, უფრო ოლიად რომ
მიგახვედროთ, მთავრობის აგა-
რაქს წაგავს, ოლონდ მიცვა-
ლებული შეუძრო ვილებში
ცალქე, თითო-თითოდ ცხოვ-
რობდნ. სიღედრები, ოჯახის
სხვა გარდაცვლილი წევრები
და, თქვენ წარმოიდგინეთ, და-
მლაგებელი ქალებიც კი არსად
ჩანახ. სამოთხეში როგორ არ-
ის, ვერ გეტყვით და აქ, საი-
ქიოში, ნამდვილად ახე. და-
მავრწყდა თავილანვე მეტვეა,
რომ მკვდართა საუფლო საზი
განყოფილებისგან შეღება:
ჭოჭოხეთი, საკუთრივ საიქიო
და სამოთხე. საუკუნეების გა-
ნმავლობაში, როგორც საღვ-
თო წიგნებიდან იცით, მხო-
ლოდ ორი განყოფილება არ-
სებობდა. საკუთრივ საიქიო
1953 წლიდან გაიხსნა. კარგა
ხანს საიქიოს მკვიდრი მხო-
ლოდ ერთი კაცი გახლდათ.
ანლა საიქიო იქვეყნად საქმა-
ოდ მჭიდროდ დასახლებულ
ჩეგიონად ითვლება. თავიან-
თი ხანმოქლე სიცოცხლის მა-
ნძილზე ადამიანები იმდენი
ცულლურობის ჩადენას ასწ-
რებენ, რომ ბეჭედისკის კომი-

ა-ქიოში ზეთისხილის ბაღებს შორის მიმოკიდებული, ლოტოსის ფოთლებით გადახურული სახლები მწვანებალაბიანი გზის გაღმა-კამორმა ჩარიგებულან. გზაზე მწვანე ბალახი წუ გაგა-კვირვებთ. იმქვეყნად ხომ ტრანსპორტი არ დაიძნ. რაც შეეხება ფეხით მოსიარულებს, საერთოდ, მიცვალებულები უმეტეს დროს ფართო აივე-ბზე ატარებენ. ბანქოს თამაშით იქცევენ თავს, ან საიქიოს მდიდარი ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს კითხულობენ. რაღიო-ტელევიზიი, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, იმქვეყნად საერთოდ უარყოფილია. „ლელოს“ ფორმატის პატარა გაზეთი „საიქიოს ხეა“ კვირაში ერთხელ გმოდის. იგი საიქიოს ახალ მცვალეობა გრძელ, მოსაწყენ სის აქვეყნებს და თუ რამე წაიკითხება, ეს გახლავთ ბეჭედისკის კომისიის სხდომათა ოქმები. ეს კომისია ჯოგორეთის მცხოვრებთა საჩივრებს განისილავს. დღიდ მიხვედა არ უნდა იმ ამბავს, რომ ჯოგორეთის ბეჭორნი წარდაუშემ ჩივიან: შეცდომა იქნა დაშვებული, კუპრის ქვეყანაში სრულიად დაუმსახურებლად მოგვაცეისთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგი მათგანი, მართლაც უბრალოდ და ვიდას დავუმალო, ბეჭედისკის კომპეტენტური კომისია ენერგიულად ცდილობს, სამართალმა პური სჭამოს იმ ქვეყანაში.

ერთი სიტყვით, საინიოში
მხატვრული ლიტერატურა დღიდ
პატივშეია. მიცვალებულები,
სიცოცხლეში თავიანთი აუზ-
დული საქმეების გამო წიგნი-
სთვის რომ ვერ იცლილენ,
ახლა ხშირად გადაულაპარაკე-
ბენ ერთმანეთს: რა საიცოო,
რა მომხიბლავი სამყარო არ-
სებულა ჩენს გვერდით, ბიძ-
ლიოთეკათა სარწყოფაგები თუ-
რჩებ გენიოს მწერალთა რა
გრინჯულ სკირებს გვთვალო-

მარტინ ლინკის ერთობლივი ცხადობის კუთხი

Digitized by srujanika@gmail.com

603045

ვარულით შეაჩერდებოდა. უკა-
განსო, ვერ იტყოდით, მაგ-
რამ ბრეჭევს სტალინი აქა-
რად არ სძლებლა. მონუსხული-
ვითაც კი ნშირად უსმერდია
კავკასიური აქცენტით მოსაუბ-
რე ამ კოხტა მოხუცს, რომელ-
საც ეზოში ყოველთვის კვი-
ლაფერი სანიჭუშმდ ბოვლილ-
დაწყრიალებული პჰონდა. ბაშ-
ბუქის ღობე შემთხვევით არ
მისხენებდა. საიქიოში ერთად-
ერთი ეზოა შემოლობილი და
იგი ცწორედ სტალინისა გან-
ლავთ. რატომ დაუშვა კომი-
სიამ ეს ერთადერთი გამონაუ-
ლისი, ვერ გეტყვით. სტალინ-
მა ჩამოსკლისთანავე შემორაგ-
ვა ეზო, მიუხედავად იმისა,
რომ კარგა ხანს საიქიოს ერ-
თადერთი მცხოვრები იყო. ამ-
ბობენ, ღმერთს ღობის ამბავი
რომ მოახსენეს, გაერიმა და
თავი გადავჭინია. ეტყობა,
ღმერთსაც ამ მიუღია ერთგი-
ული ზომები. სტალინის ღო-
ბის წინააღმდეგ, თორებ იმ
ქვეყნის ახარებული მევიდრის
ცრეტეტნიას დღიდ დღე არ
ეწერა. სტალინის ჯიუტი ხასი-
ათი იყოდა რა, ღმერთმა, ხანს,
ხელი ჩაიქნია სხვა არაფე-
რი მოიძოქმედოს და პჰონდეს
ეს ღობე. რაფი ასე ძალიან
უნდა, რა ვენა, ახლაო.

Յազնու Կալեռնից Ըստ յօդեց-
լու Քաջա-Ցորենին Կը լուսն
Տառութան Հողադրու Հմոնեց

და სამჯერ დაკვრა ნისკარტი
გზის ფირფიტას. „რა მალე
გასულა დრო, ჯერ ოორმეტაც
არ მეგონა და სამი გმიჩქა-
რაო,“ სტალინმა თოხი ღოძე-
ზე მიაყულა, თეთრი კიტელის
საყელო შეისხნა, ზეთისხილის
ტოტიდან ტილოს სახოცი ჩა-
მოხსნა, ყელ-კისერში მოძვა-
და, არ დაგრილოს, დაცა-
რული შუბლი წავრა. ახლა
უფრო დაემსგავსა ლაპხვის ნა-
პირას დაბადებულ მის წინა-
პარს, საუკუნეების განმავლო-
ბაში მიწს რომ ებრძოდა და
სარჩო-საბადებელი ოდენ ჭა-
პან-წყვეტით მოჰყავდა. ბრუ-
შნევს გასიათა: „ლეო, როცა
მოიცალო, წყალი მოუშვი და
მორწყე, თუ კაცი ხარ, ფეს-
ვებს ბელტი არ შეახმეს. აივა-
ნებ ვიქნები, ცოტა წელს გავ-
მართავ, თვალი მოჰყურა და
დაუმატა: — ასი გრამი ჩემშე
იქნება“.



ველთვის ჰქონდა ჭაჭის თეთრ-ჭაჭია არაყი და ყვარლური, მელანივით ქინძმარაული.

ის იყო სტალინი აივანზე შემოდგა და, სანამ ჭიბიდან თუთუხის ქისას ამოიღებდა, ქორული მხერა მოავლო სოფელს, რომ ქუჩაში ვიღლაცა ჰქიდა თვალი და ჩიბუხის გაწყობა. გადაიიჯიქრა. უცხობი ისედაც ნელა მიაბიჯებდა და სტალინის ჭიშკართა აშკარად აითრია ფეხი. ერთი-ორჯერ ეზოშიც გადმოიხედა.

— ამხანაგო, — სტალინმა ცახალი მოიხადა და როგორც იყო, დაკეცილ-კალაპოტმიცემული, ისე მიაგდო ტაქტზე, ამოვბრუნდები და ისევ დავი-ხურავო.

უცხობი შედგა, მოიხედა, ჭიშკარისკენ წამოსულ მასპინძელს გაულიმა და სახელურს მიწვდა. აშკარად ეტყობოდა, რომ მორცხვდება.

სტალინმა ვერ იცნო მიცვალებული და დასკვნა, რომ იგი სამი საათის მატარებელს უნდა ჩამოჰყოლოდა. საიქიოს ახალი მკვიდრი რომ იყო ფერ-შერთალ სახეზე, გაცრეცილ ტუჩებზე და მოშვებულ თვალთა უპეებზე ეტყობოდა. ორ-მოცდაათი წლისაც არ იქნებოდა ახალმოსული, მაგრამ ისე დაჭმულებული და მოჩვარული უპეები ჰქონდა, რომ სტალინმა გაიფიქრა: სწრაფად რომ დაიხაროს, ან გაიცეს,

შეიძლება თვალები ბუდეებიდან გადმოუცვივდესა.

სტალინს უნდოდა, ეკითხა, აქეთ როგორ მოხვდითო, რადგანაც საიქიოს ამ კუთხეში ახალ მიცვალებულებს უადგილობის გამო აღარ ასახლებდნენ, მაგრამ სტუმარმა კითხვის მიცემა როდი დააცალა.

— აქეთ გამომანაწილეს. საიქიოს ოცდახვიდმეტ ნომერში. აღვილი განთავისუფლდა, მიქელ-გაბრიელმა. რომელიდაც მარტალი ქომისის ჭოქონეთში გაუგზავნია. აშკარად გამიმართოა. თქვენს შეზობლად ცხოვრება ჩემთვის დიდი ბელნირებაა, — სტუმარი ისე მოზიწებით შესცემადა, რომ აშკარა იყო, მან წელან ეზოში გადახედვისთანავე იცნო სტალინი.

— რა მოგახსენოთ, საერთოდ აქეთ ცეცლგან ერთნაირი პირობებია.

— პირობები კი, რასაკვირველია, — ენად გაიკრიფა ახალმიცვალებული, — მაგრამ ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვისთან იმეზობლებ, ვის შექედავ და მიესალმები ყოველდღე.

სტალინს პასუხი არ მიუცია. გონება დაბაბა, რათა გამოეცნო, ვინ გაწვია ბუეინსკის ქამისიამ სიიქოდან, წარსულის დანაშაული ამოუწიეს, თუ, უბრალოდ, ამ ახალი მკვდრისთვის აღგილი დასჭირ-

და. გარდა ამისა, სტალინს ცნობისმოყვარეობა ჰქონდა, გაეგო, რამ იმსხვერპლა ეს ახალგზრდა კაცი, მაგრამ არ უკითხავს. საიქიოში შეკითხვა სიკვდილის მიზეზის შესახებ მიღებული არ არის. თუ თვითონ მიცვალებულმა არ გიმბოთ, თქვენ მაინცდამანც ნუ ჩაჭიჭინდებით, გინდა თუ არა მითხარით. საერთოდ, ადამიანებს, გარდა ისეთი პრესიული დავადებისა, როგორიც გახლავი სისხლის გაწყალება, ინფარქტი და კიბო, ასეთივე წარმატებით ჰქლავს მთელი რიგი არასერიოზული სნეულებანი, მაგალითად: მოუვლელი თიაქარი, გამრუდებული კუდუსუნი, და ოქვენ წარმოიდგინეთ, ექიმბაშისგან მიმწვრი, გალიზიანებული მეჭეჭიციც კი იდგვარ საჩითირო აღგალზე, მარტო სამედიცინო წიგნებში რომ შეიძლება მითითება.

